



სამკურნალო ტურიზმი და რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა ლეჩხუმის რეგიონში

ბლიაძე ნ. ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული დარაიონების თანახმად, ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს ზონის დაბალი და საშუალო მთის საკურორტო ქვეზონაშია გაერთიანებული, რომლის კლიმატური რესურსები წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული კარდიოლოგიურ, ნევროლოგიურ და პულმონოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ, ხოლო ლეჩხუმში არსებული ბალნეოლოგიური რესურსების საფუძველზე შესაძლებელია გასტროენტეროლოგიური და ართროლოგიური პროფილის სამკურნალო ცენტრები. ტურიზმის და კერძოდ, სამკურნალო ტურიზმის განვითარებისა და მართვისათვის აუცილებელია ეფექტური, ხანგრძლივვადიანი მონიტორინგი და აქედან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების, საკურორტო რესურსების გეოინფორმაციული სისტემის შექმნა, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას ბუნებრივი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი რესურსების პოტენციალის შესახებ მონაცემთა მძლავრი საინფორმაციო ბაზა და გამოიყოს ერთის მხრივ, ლანდშაფტების შედარებით არამდგრადი, სენსიტიური უბნები და მეორე მხრივ, დადგინდეს უნიკალური და იშვიათი ბუნებრივი კომპლექსები.

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო ტურიზმი

საქართველოში მსოფლიოში არსებული ყველა სამედიცინო პროფილის კურორტია, სადაც არსებობს ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები – მინერალური წყალი, ტალახი, გამაჯანსაღებელი ჰავა და აუცილებელი პირობები მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოყენებისთვის [4]. ქვეყანაში აღრიცხულია 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი, რომლებსაც მომხმარებლებისათვის სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების შეთავაზება შეუძლიათ, სამკურნალო ტურიზმის განვითარება შესაძლებელია როგორც, კლიმატური (მთის, ზღვის), ისე ბალნეოლოგიური პროფილის კურორტების ბაზაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამედიცინო ჩვენებით გამოირჩევა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები, რომელთა ჰავა სამკურნალო ტურიზმის განვითარების ძირითადი საფუძველია, რადგან მთის კლიმატი ხასიათდება სუფთა ჰაერით, მზის, განსაკუთრებით – ულტრაიისფერი სხივების ინტენსიური რადიაციით, დაბალი ბარომეტრული წნევით და ჟანგბადის გაცილებით მაღალი შემცველობით [1]. მთის კლიმატის ბიოლოგიური მოქმედება მრავალფეროვანია: ამშვიდებს და ტონუსს ჰმატებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს სასიცოცხლო პროცესების რეგულაციას, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, სუნთქვის ფუნქციას, სისხლის მიმოქცევასა და საჭმლის მონელებას; ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს სხვადასხვა დაავადების, მათ შორის, ინფექციური პათოლოგიების მიმართ; ამ ფაქტორის გამო მთის კურორტებზე დასვენება ახდენს მატონიზებელ და გამაჯანსაღებელ ეფექტს ადამიანის ორგანიზმზე [3]. ამიტომ საქართველოს მთიანი რეგეიონების ჰავა მნიშვნელოვანი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსია. რადგან საქართველოში აღრიცხული კურორტებსა და საკურორტო ადგილებს შორის ნახევარზე მეტი კლი-

მატური პროფილისაა. საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული დარაიონების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია ვაკის, დაბალი მთის და საშუალო მთის საკურორტო ზონები, რომლებიც დაყოფილია ქვეზონებად. აღნიშნული დარაიონების მიხედვით, ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს ზონის დაბალი და საშუალო მთის საკურორტო ქვეზონაშია გაერთიანებული, რომლის კლიმატური რესურსები წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული კარდიოლოგიურ, ნევროლოგიურ და პულმონოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ, ხოლო ლეჩხუმში არსებული ბალნეოლოგიური რესურსების საფუძველზე შესაძლებელია გასტროენტეროლოგიური და ართროლოგიური პროფილის სამკურნალო ცენტრები.

სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობა და ზომიერი ღრუბლიანობა განაპირობებს ლეჩხუმში მზის ნათების საკმაოდ დიდ ხანგრძლივობას და რადიაციის მნიშვნელოვან ინტენსივობას წლის ყველა სეზონში. მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2200 საათამდეა, მზიან დღეთა რიცხვი 305-ს აღემატება[5], მაღალია ატმოსფეროში ჟანგბადის წონითი შემცველობა და შეადგენს 230-250გ/მ³-ია. ახასიათებს კარგი ვენტილაცია, თერმული რეჟიმის კომფორტულობა და ტენიანობა, რაც რეკრეაციული მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორებია.

ცალკე განხილვის საგანია ლეჩხუმის კარსტული მღვიმეების კლიმატის გამოყენება სამკურნალოდ, რისი გარკვეული გამოცდილებაც საქართველოში დიდი ხანია არსებობს.

განსაკუთრებით უნდა ავლნიშნოთ დაბა ცაგერის კლიმატოთერაპიული რესურსების შესახებ. ზომიერი ტემპერატურა, უხვი ულტრაიისფერი სხივები, იონიზირებული ჰაერი, დაბალი აბსოლუტური ტენიანობა და სხვა ფაქტორები იძლევა იმის საშუალებას, რომ ის გამოყენებულ იქნას სასუნთქი ორგანოებისა და გულ-სისხლძარღვთა ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. ასევე შესაძლებელია ზამთრის კურორტების მშენებლობა და სპორტის ზამთრის სახეობების განვითარება, ვინაიდან აქ საკმაოდ ხელსაყრელი რელიეფი და მდგრადი თოვლის საფარია დამახასიათებელი.

ლეჩხუმი მდიდარია მინერალური წყაროებითაც, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად კარგ პირობას ქმნის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა და საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის..

განსაკუთრებით საინტერესოა საშუალო სიმაღლის მთის ქვეზონის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტები: ლაშიჭალა, ძულური, ჭალისაბანოები და სხვა, რომელთა მინერალური წყლები წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

კურორტი ლაშიჭალა მდებარეობს მდ. ლაჯანურის ხეობაში, ლეჩხუმის ქედის სამხრეთ ფერდობზე, (ზ.დ. 800-900 მ.) ახასიათებს დაბალმთის კლიმატი, ზამთარი რბილია, მცირეთოვლიანი, ზაფხული თბილი, ზომიერად ტენიანი, ნალექების წლიური რაოდენობა 1800-2000 მმ-ია. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული მაგნიუმ-კალციუმ-იანი წყალი, რომლის მინერალიზაცია შეადგენს 0,8-1,2 გ/ლ, ტემპერატურა 13-15°C, საერთო დებიტი 20000 ლიტრია დღე-ღამეში. მინერალურ წყლებს იყენებენ როგორც სასმელად, ასევე სააბაზანო პროცედურებისათვის. კურორტი ფუნქციონირებს სეზონურად მაისიდან ნოემბრის ჩათვლით და მკურნალობენ საჭმლის მომწელებელი ორგანოების ქრონიკულ დაავადებებს, საყრდენ-სამოდრაო აპარატსა და პერიფერიულ ნერვულ სისტემას [2]. საბჭოთა წლებში საკურორტო სეზონის პერიოდში მუშაობდა კეთილმოწყობილი სააბაზანო და 230 საწოლიანი პანსიონატი, მრავლად იყვნენ ამბულატორიული სექტორის ავადმყოფებიც.

დღეისათვის კურორტი სავალალო მდგომარეობაშია, შემორჩენილია მხოლოდ ორი სანატორიუმი დაახლოებით 100 საწოლზე, სადაც არცთუ კომფორტულ პირობებში თითოეული საწოლის ღირებულება დღე-ღამეში 15-20 ლარს შეადგენს, რასაც ემატება კვების ღირებულება, ნაწილობრივ ფუნქციონირებს სააბაზანო შენობა, სადაც კუსტარულად ხდება წყლის გათბობა და ერთდროულად მხოლოდ რამდენიმე ადამიანს შეუძლია აბაზანის მიღება, რაც დამსვენებელთა უკმაყოფილებას იწვევს. 2015 წლის მონაცემებით, თითოეული აბაზანის ღირებულება 10 ლარია, სამკურნალო კურსი კი შეადგენს 10 სეანსს.

ლექსუმში მდინარე ლაჯანურის ხეობაში მდებარეობს ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი ძულური, რომელსაც ჯერ კიდევ 1926 წელს მოიხსენიებს რუსი მკვლევარი ა. გლუშკინი. მისი მონაცემებით, ძულურის №4 წყაროს წყალი ახლოს მდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლების მიერ მიუხედავად უგზობისა, ფართოდ იყო გამოყენებული, როგორც სასმელად ასევე სამკურნალოდ -- ნერვიული სისტემის, კუჭ-ნაწლავის, ქრონიკული ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი ფორმის, რკინა-დეფიციტური ანემიის და დიაბეტის სამკურნალოდ. ა. გლუშკინის დასკვნით, ძულურის №4 წყაროს წყალი. თავის შემადგენლობით წარმოადგენს გერმანულ "Schwalbach"-ის და ფრანგული "La Boucle"-ს ტიპის წყალს. ხოლო 1984 წელს გამოკვლეული იქნა ძულურის მინერალური წყალი №4 და ლაშიჭალის მინერალური წყალი №5 საქართველოს სახელმწიფო სოფლის მეურნეობის კომიტეტის მიერ და დასკვნა გაკეთდა ყოფილი საბჭოთა კავშირის კვლევით ინსტიტუტში, რის საფუძველზეც მინერალური წყლის ძულურის და ლაშიჭალის საჩამომსხმელო ქარხანა ექსპლუატაციაში შევიდა 1990 წლის 1 მარტს, ცაგერის რაიონში ასათიანის ქუჩაძე.

ჯონოულას ხეობაში, ცეკურის მთის სამხრეთ-აღმოსავლურ კალთაზე, (ზ. დ. 1900 მ.) მდებარეობს კურორტი ახალჭალა, რომლის წყაროები ნახშირმყავა-რკინის შემცველობისა და გამოყენება როგორც სასმელად შინაგანი ორგანოების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის, ასევე სააბაზანო პროცედურებისათვის (2).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კურორტებისა ლექსუმის რეგიონში მრავლად გვხვდება სააგარაკო ადგილები, რომელთაც არანაკლები ბუნებრივი სამკურნალო პირობები და რეკრეაციული დატვირთვა გააჩნია საკურორტო სეზონში, ეს განსაკუთრებით მკვეთრად გამოიკვეთა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, როდესაც დამსვენებელთა რეკრეაციული მომსახურება საქართველოში ძირითადად მთიან რეგიონებს (მათ შორის ლექსუმსაც) დააწვა სხვადასხვა მიზეზების (შავი ზღვის დაჭუჭყიანება, მძიმე ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა და სხვა) გამო. ლექსუმის მნიშვნელოვანი სააგარაკო ადგილებია: ახალჭალა, ხვამლი, საირმე, ლაილაში, ქულბაქი, ნაკურალეში, აღვი, ზუბი, ლაძგერია რომლებიც კლიმატური პროფილის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ არეალებს წარმოადგენენ.

მიუხედავად კლიმატური და მინერალური წყლების სიუხვისა, საკვლევი რეგიონში ტურიზმი და განსაკუთრებით სამკურნალო ტურიზმი სათანადო დონეზე განვითარებული არ არის. ლექსუმში და მთლიანად საქართველოში, სამედიცინო ტურიზმის პოტენციალის მაქსიმალური ამუშავებისათვის, პირველ რიგში აქტუალურია რეკრეაციული ტერიტორიული სისტემების (რტს) ჩამოყალიბება, რომელებიც თავის მხრივ, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილებია, ზოგადად, საკურორტო მკურნალობის, დასვენებისა და ტურიზმისათვის განკუთვნილი დაწესებულებების, ასევე რეკრეაციული რესურსების, რეკრეანტთა კონტიგენტის, მომსახურე პერსონალისა და მართვითი ორგანოების ერთობლიობაა. რეკრეაციული ობიექტების არაორგანიზებული კონცენტრაცია, თავის მხრივ, იწვევს ბუნებრივი კომპლექსების გადატვირთვას რეკრეანტთა ჭარბი რაოდენობით, რომელებიც ხშირად იწვევს ბტკ-ს რღვევას ეკოციდის დონეზე და ზოგჯერ მის სრულ განადგურებასაც კი [1]. აქედან გამომდინარე აუცილებელია მეცნიერულ დონეზე დაფუძნებული დასვენების სწორი ორგანიზაცია, რაშიც ფიზ-გეოგრაფების უშუალო მონაწილეობაა აუცილებელი, რადგან, რეკრეაციული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი გეოგრაფიული გარემოა. აუცილებელია რეგიონის ტერიტორიის დიფერენციაცია (ზონირება), კერძოდ, სად განლაგდეს სამკურნალო და სააბაზანო შენობები, სანატორიუმები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და გასართობი კომპლექსები, წყნარი და მშვიდი დასვენების ობიექტები, საბანაო და სათევზაო ადგილები და ა. შ.

ამგვარად, ადამიანის ტერიტორიულ-რეკრეაციული საქმიანობა უშუალო კავშირშია ბუნებასთან, ამიტომ მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ბუნებრივი ლანდშაფტების სისუფთავე და ხელშეუხებლობა (უარყოფითი მიმართულებით) და ოპტიმალური ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება, მითუმეტეს, რომ საკვლევი რეგიონში არ გვხვდება დაცული ტე-

რიტორიების სისტემის არცერთი კატეგორია (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი), გარდა ბუნების ძეგლებისა (თეკენტერის ჭა, ჯონოულას ლოდები, საირმის მეწყერი), არადა, რეგიონის ბიომრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია ბევრი „წითელ წიგნის“ ნუსხაში შეტანილი მცენარეების (მაგ. ალპანის ყაზახას და სხვათა) აღკვეთილების შექმნა, რადგან საქართველოს მასშტაბით აღნიშნული მცენარეები მხოლოდ ლეჩხუმის რეგიონში გვხვდებიან და მათი გავრცელების არელები ადამიანის ინტენსიური სამეურნეო საქმიანობის გამო, თანდათან მცირდება. დაცული ტერიტორიების შექმნა კი კიდევ უფრო წაადგება რეკრეაციული ტერიტორიული სისტემების (რტს) ჩამოყალიბებას.

დაბოლოს, უნდა ავლნიშნოთ, რომ ტურიზმის და კერძოდ, სამკურნალო ტურიზმის განვითარებისა და მართვისათვის აუცილებელია ეფექტური, ხანგრძლივადიანი მონიტორინგი და აქედან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების, საკურორტო რესურსების გეოინფორმაციული სისტემის შექმნა, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას ბუნებრივი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი რესურსების პოტენციალის შესახებ მონაცემთა მძლავრი საინფორმაციო ბაზა და გამოიყოს ერთის მხრივ, ლანდშაფტების შედარებით არამდგრადი, სენსიტიური უბნები და მეორე მხრივ, დადგინდეს უნიკალური და იშვიათი ბუნებრივი კომპლექსები [3].

ლიტერატურა

1. დავითაია ე. სეფერთელაძე ზ. ლანდშაფტმცოდნეობა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014 გვ. 201
2. ვადაჭკორია მ. კ., უშვერიძე გ. ა., ჯალიაშვილი ვ. გ. „საქართველოს სსრ კურორტები“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987, გვ. 56
3. ნიკოლეიშვილი დ. საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი. თსუ, 2009, გვ. 145
4. ჩოგოვაძე გ. საქართველოს პოტენციალი სამედიცინო ტურიზმში. რა სიახლეებს გეგმავს ტურიზმის ადმინისტრაცია , 2016. The Tbilisi Times <http://www.ttimes.ge/archives/64395>
5. ცუცქერიძე შ. შხის ნათება, შხის რადიაცია, ტემპერატურა. რუკები. საქ. ატლასი. თბილისი. 1964

THE PERSPECTIVES OF MEDICAL TOURISM DEVELOPMENT IN LECHKHUMI REGION

Bliadze N.

Summary: *Lechkhumi region is very special with its medical features. The climate of the region is a precondition for tourism development. For example, fresh air, solar - especially the intense radiation of ultraviolet beams or low barometric pressure, as well as the highest concentration of oxygen is characteristic for Lechkhumi region.*

Lechxumi is also reach with mineral waters, which provides good conditions for the health and recreational facilities or resort economy.

The balneology – climate resorts of middle height hill subareas are very interesting: Lashichala, Dzuguri and others, which mineral waters are special with different medical features, But Unfortunately, the bad infrastructure causes problems in medical tourism development. Hotel or travel agency networks are not developed sufficiently. Also, there are low qualities of private hotel services, so it is difficult to find room for tourists. Climate resorts are situated in mountainous regions, where the infrastructure is not arranged. There are also problems in the transport.